ხელშეკრულება/საჯარო შეთავაზება

ავტოსატრანსპორტო საშუალების/ავტომობილის ქირავნობის შესახებ

წინასწარი შეკვეთით ავტომობილის დაქირავების სერვისების მიწოდება getmancar.com ვებსაიტისა და Getmancar მობილური აპლიკაციის მეშვეობით

წინამდებარე საჯარო შეთავაზების ხელშეკრულება შემსრულებლის მიერ მიმართულია ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირის, აგრეთვე იურიდიული პირისადმი, რომლებიც აკმაყოფილებენ აღნიშნული ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს და გამოხატავენ სურვილს ავტომობილის გაქირავების მომსახურების მიღებაზე ვებგვერდის — getmancar.com-ის და/ან მობილური აპლიკაციის — Getmancar-ის მეშვეობით.

საჯარო შეთავაზების ხელშეკრულება არის საჯარო ,მისი პირობები არის ყველასთვის ერთნაირი,რომლის პირობების უპირობო მიღება(გადახდა ნებისმიერი ხერხით)ითვლება შემკვეთსა და შემსრულებლის შორის ზემოაღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების ფაქტად.

აღნიშნული კონტრაქტი წარმოადგენს შერეულ ხელშეკრულებას, რადგან იგი აერთიანებს რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელ პირობებს.

ეს ხელშეკრულება ვრცელდება ავტომობილების გაქირავების წინასწარი შეკვეთების(ქირაობა) ფორმირებაზე, ასევე ავტომობილების გაქირავების მომსახურებაზე. ზემოაღნიშნული ხელშეკრულება არ ვრცელდება საჯარო შეთავაზების ხელშეკრულებაზე ავტომობილების მოკლევადიანი გაქირავებაზე (ქარშერინგ). მხარეები ამ ხელშეკრულების და საჯარო შეთავაზების ხელშეკრულებაზე ავტომობილების მოკლევადიანი გაქირავებაზე (ქარშერინგ) შეიძლება იყოს ერთი და იგივე,მაგრამ ურთიერთობები რომლებიც წარმოიქმნება ამ ხელშეკრულების საფუძველზე განსხვავდება ურთიერთობებისგან რომლებიც წარმოიშვება კარშერინგის ხელშეკრულებიდან. სადავო საკითხების გადაწყვეტისას მხარეებმა უნდა იხელმძღვანელონ შესაბამისი ხელშეკრულებით.

1. ტერმინთა განმარტება:

საიტი, ვებსაიტი – მონაცემების ერთობლიობა წარმოდგენილი მომსახურების, შემსრულებლის შესახებ, რომელიც განთავსებულია სერვერზე და ინტერნეტში შემდეგ ელექტრონულ მისამართზე :https://getmancar.com

აპლიკაცია, მობილური აპლიკაცია, Getmancar აპლიკაცია – მობილური აპლიკაცია Getmancar ინსტალირდება სმარტფონზე (სპეციალიზებული აპლიკაციების მაღაზიიდან AppStore, GooglePlay, Huawei Gallery ჩამოტვირთვით ან მაღაზიის გარდა პირდაპირი ინსტალაციით) ნებისმიერი პირის მიერ, რომელიც საშუალებას აძლევს მას დარეგისტრირდეს როგორც მომხმარებელი, (მძღოლი/კლიენტი),ისარგებლოს კარშერინგით, ასევე აღნიშნული აპლიკაციის საშუალებით ხდება ავტომობილის გაქირავება/იჯარა და ავტომობილის გაქირავების/იჯარის წინასწარი შეკვეთის ფორმირება.

ავტომობილის გაქირავება/იჯარა – მომსახურება რომელსაც სთავაზობს ავტომობილების გაქირავების კომპანია კლიენტს რაც გამოიხატება ავტომობილის გადაცემაში ხელშეკრულებით განსაზღვრულ კლიენტზე და/ან შემკვეთზე, გარკვეული დროით და შესაბამისი ანაზღაურებით. ავტომობილის გაქირავება/იჯარა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ავტომობილების გაქირავების კომპანიისადმი ფიზიკურად ავტომობილის გადაცემისას კლიენტისთვის, რომელიც ხორციელდება კომპანიის ოფისში ან სხვა ადგილას(აეროპორტი,სადგური,კლიენტთან მიყვანა და სხვა). აქედან გამომდინარეობს, რომ ავტომობილის გაქირავება/იჯარის მომსახურების გაწევისას კლიენტი ყოველთვის ხვდება ავტომობილების გაქირავების კომპანიის წარმომადგენლებს მანქანის მიღებისას ან დაბრუნებისას,გარდა ფორს-მაჟორული შემთხვევებისა ან ხელშეკრულების დარღვევისას.

კარშერინგი - არის მოკლევადიანი ავტომობილის გაქირავების სერვისი, რომელიც მოიცავს ავტომობილს, გადასახადებს, სეზონურ საბურავებს, ავტომობილის რეცხვის და საწვავის ხარჯებს გარკვეული ტარიფებით. ამ სერვისის მიწოდებისას, კლიენტი და ავტომობილის გამქირავებელი კომპანია, შემსრულებელი, არასდროს ხვდებიან ერთმანეთს, გარდა დაუძლეველი ძალის(ფორს-მაჟორი) შემთხვევებისა. ავტომობილი ქირავდება და გადაეცემა ექსკლუზიურად მობილური აპლიკაციის გამოყენებით.

პირადი კაბინეტი - მისამართი საიტზე,რომელიც შეიცავს კლიენტის მონაცემებს,მის შეკვეთებს,გადახდის მონაცემებს და ა.შ.,ასევე კლიენტს აძლევს საშუალებას მართოს თავისი შეკვეთები,გააუქმოს ის,შეცვალოს,გადაიხადოს შეკვეთა.

შემსრულებელი - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც სთავაზობს მომსახურებას ავტომობილების გაქირავების შეკვეთის გაფორმებასთან, ბრონირებასთან/დარეზერვირებასთან დაკავშირებით საიტით და მობილური აპლიკაციით, რომელიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულებაში.

შემკვეთი - ფიზიკური ან იურიდიული პირი(იურიდიული პირის წარმომადგენელი, უფლებამოსილი თანამშრომელი),რომელიც დაეთანხმა აღნიშნულ ხელშეკრულებს რათა მიიღოს ავტომობილის გაქირავების ან/და დარეზერვების და სხვა მომსახურება, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების პირობებით.

მხარეები - შემსრულებელი და შემკვეთი (მომხმარებელი/ მძღოლი/კლიენტი) რომლებიც იღებენ მონაწილეობას ავტომანქანის გაქირავება/დაჯავშნაში.

პირადი ანგარიში – დამქირავებლის მიერ აპლიკაციაში შექმნილი პირადი გვერდი. საიტზე განთავსებული მისამართი, რომელიც შეიცავს კლიენტის მონაცემებს, შეკვეთებს, გადახდის სტატუსებს და სხვა ინფორმაციას, ასევე საშუალებას აძლევს კლიენტს მართოს თავისი შეკვეთები, მათ შორის შეკვეთის გაუქმება, შეცვლა, გადახდა.

მძღოლი/კლიენტი - პირი, რომელიც მითითებულია ავტომობილის ქირავნობის ხელშეკრულებაში ან/და მითითებულია მიღება-ჩაბარების აქტში, რომლის საფუძველზეც დროებით სარგებლობაში გადაეცემა ავტომობილი. მძღოლი/კლიენტი შეიძლება იყოს როგორც ვებსაიტზე შეკვეთის განმთავსებელი პირი (შემკვეთი,მომხმარებელი), ასევე ავტომობილის შეკვეთის განთავსებისას მძღოლად/კლიენტად მითითებული პირი, რომლის შესახებაც მოწოდებულია ავტომობილის გაქირავების სერვისის რეგისტრაციისთვის საჭირო მონაცემები და დოკუმენტები, რომელთა მითითება სავალდებულოა Getmancar-ის ვებსაიტზე/მობილურ

აპლიკაციაში გაქირავების პირობებში. მძღოლი/კლიენტი/შემკვეთი და მომხმარებელი - შეიძლება იყოს ერთი პირი, ანუ როდესაც მომხმარებელი დამოუკიდებლად და საკუთარი თავისთვის აკეთებს შეკვეთას ვებსაიტზე.

მიღების აქტი, გადაცემის აქტი, ავტომობილის მიღება-გადაცემის აქტი - დოკუმენტი, რომელიც დგება ავტომობილის კლიენტისთვის/მძღოლისთვის გადაცემისას ან/და კლიენტის/მძღოლის მიერ ავტომობილის დაბრუნებისას, ერთი მხრივ, ავტომობილის გაქირავების კომპანიასა და მეორე მხრივ, მომხმარებელსა ან/და კლიენტს/მძღოლს შორის. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ავტომობილის ქირავნობის/იჯარის ძირითად პირობებს, კერძოდ: ავტომობილის ბრენდს, მოდელს, სანომრე ნიშანს და სხვა მახასიათებლებს, ყველა მძღოლს, რომელსაც უფლება აქვს მართოს ავტომობილი, ტარიფებს, დამატებითი მომსახურებს და დეპოზიტს, დაშვებულ გარბენს, საწვავის რაოდენობასა და ოდომეტრის ჩვენებას, ავტომობილის ტექნიკურ მდგომარეობას და დაზიანებას, ავტომობილზე დამონტაჟებული საბურავების ბრენდს (სია არ არის ამომწურავი და სავალდებულოა).

ავტომობილის ქირავნობის სერვისის რეგისტრაციისთვის საჭირო მონაცემები და დოკუმენტები - მონაცემები და დოკუმენტები, რომლებსაც საჭიროებს კომპანია მანქანის გაქირავებისათვის. მოთხოვნები მონაცემებთან და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით გამომდინარეობს ადგილობრივი კანონმდებლობიდან და კომპანიის შეხედულებიდან. ავტომობილის ქირავნობისთვის სავალდებულო დოკუმენტაციაა (ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და სავალდებულო): პასპორტი (მათ შორის პირადობის მოწმობა, უცხოურ პასპორტი), მართვის მოწმობა, საიდენტიფიკაციო ნომერი. სავალდებულო მონაცემები: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, პასპორტის სერია, ნომერი და დოკუმენტის გაცემის თარიღი, სერია და ნომერი, მართვის მოწმობის გაცემის თარიღი, ინდივიდუალური საიდენტიფიკაციო ნომერი.

ავტომობილების გაქირავების კომპანია არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს დამოუკიდებლად ან/და უფლებამოსილი თანამშრომლის ან წარმომადგენლის მეშვეობით,რომელიც ფლობს შესაბამის სარეგისტრაციო დოკუმენტებს და ნებართვებს ავტომობილების გაქირავების/იჯარის საქმიანობისთვის. ავტომობილების გაქირავების კომპანია თავად ადგენს დაქირავებული ავტომობილის მიღება-ჩაბარების აქტებს კლიენტთან/მძღოლთან ან/და შემკვეთთან (მომხმარებელთან) და ახორციელებს ავტომობილის გადაცემას, რაც დასტურდება ავტომობილის მიღება-ჩაბარების აქტით. ავტომობილების გაქირავების კომპანია და შემსრულებელი შეიძლება იყვნენ ერთი და იგივე პირი, თუ შემსრულებელი არა მხოლოდ იღებს დაქირავების შეკვეთებს, არამედ ასრულებს მათ და ჯდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ავტომობილების გაქირავების კომპანიის მახასიათებლებში.

მფლობელი არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც არის იმ სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ან განმკარგავი, რომელიც გადაეცემა ქირით/იჯარით მომხმარებელს,შემკვეთს, მძღოლს ან კლიენტს,შემკვეთის მიერ გაკეთებული შეკვეთის საფუძველზე. მფლობელი, ავტომობილების გაქირავების კომპანია და შემსრულებელი შეიძლება იყოს ერთი და იგივე სუბიექტი, თუ ეს სუბიექტი აკმაყოფილებს ამ შეთანხმებაში მოცემულ ყველა განმარტებას, ანუ იღებს შეკვეთებს, არის გაქირავებული/გასაცემი სატრანსპორტო საშუალების მფლობელი და დამოუკიდებლად

გადასცემს სატრანსპორტო საშუალებას შემკვეთს, მძღოლს/კლიენტს და ამზადებს და ხელს აწერს სატრანსპორტო საშუალების მიღება-ჩაბარების აქტს.

ავტომობილის რეზერვირების/დაჯავშნის მომსახურება - მომხმარებლისთვის(შემკვეთისთვის) შემსრულებლისგან მინიჭებული შესაძლებლობა, განათავსოს წინასწარი შეკვეთა ავტომობილის ქირავნობაზე წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული პირობების შესაბამისად, ვებსაიტზე ან/და მობილურ აპლიკაციაში. ავტომობილის რეზერვირება/დაჯავშნა ხორციელდება როგორც ავტომატურად - მომხმარებელი დამოუკიდებლად ირჩევს შეკვეთის პარამეტრებს ვებსაიტზე ან/და მობილურ აპლიკაციაში, ასევე პირადი კომუნიკაციით - მომხმარებელი უკავშირდება კონტრაქტორის მომხმარებელთა მხარდაჭერის/დაჯავშნის სამსახურს ნებისმიერი არხის (ტელეფონი, მესენჯერი, ჩატი, ელექტრონული ფოსტა) საშუალებით და კონტრაქტორი ქმნის ჯავშანს მომხმარებლის მითითებების შესაბამისად, რის შემდეგაც უგზავნის ჯავშანს მომხმარებელს.

შეკვეთის ფორმა - დოკუმენტი, რომელსაც მომხმარებელი იღებს ვებსაიტზე/მობილურ აპლიკაციაში ავტომობილის დაქირავების შეკვეთის წარმატებით განთავსების შედეგად, რომელიც შეიცავს შეკვეთის მონაცემებს: უნიკალური შეკვეთის ნომერი, ავტომობილის კლასი ან/და მოდელი, ავტომობილის ბრენდი, შეკვეთის გაფორმების თარიღი, ქირავნობის პერიოდი, ავტომობილის მიღებისა და დაბრუნების თარიღი და ადგილი, ავტომობილის ქირავნობის ღირებულება და ავტომობილის დეპოზიტის ღირებულება, მძღოლის/კლიენტის ან/და მომხმარებლის გვარი, სახელი, მამის სახელი და სხვა მონაცემები, რომელმაც უნდა მიიღოს ავტომობილი და რომელიც იქნება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი. შეკვეთის ფორმა შეიძლება იყოს ფიზიკური დოკუმენტის სახით, ელექტრონული ჩანაწერის სახით პირად ანგარიშზე, მობილურ აპლიკაციაში.

შეკვეთის ფორმა არ აძლევს კლიენტს ავტომობილის მიღების უფლებას იმ შემთხვევეაში თუ კლიენტი/მძღოლი ვერ წარადგენს ავტომობილის ქირავნობის სერვისის რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტების დედნებს,ან ასევე წარადგენს დოკუმენტებს რომელთაც გაუვიდათ უფლებამოსილების ვადა ან დოკუმენტებს, რომლებიც შეუძლებელს ხდის ავტომობილის მართვას იმ ქვეყანაში, სადაც შეკვეთა სრულდება,ან ასევე დეპოზიტზე თანხის, ქირავნობის თანხის არარსებობის შემთხვევაში მძღოლს/კლიენტს არ გადაეცემა ავტომობილი.

შეთავაზების ხელშეკრულება, საჯარო შეთავაზების ხელშეკრულება, ავტომობილის ქირავნობის ხელშეკრულება - ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს ავტომობილის გაქირავების/იჯარის შეკვეთების გაფორმებასა და ავტომობილის გაქირავების/იჯარის მომსახურების გაწევის თვალსაზრისით.

შემსრულებლის რეკვიზიტები საფასურის გადახდისათვის - კუთვნილი საბანკო ანგარიშები, საბანკო ბარათები, ელექტრონული საფულეების დეტალები მითითებულია ვებსაიტზე,რომლებიც ეკუთვნის შემსრულებელს(კომპანიას) ან/და მის სარგებლობაში არსებობს. სრული დეტალები ეგზავნება მომხმარებელს ელექტრონული ფოსტით, მესენჯერით, გადაიცემა ტელეფონით, შეტყობინებით ან ხმოვანი სატელეფონო ზარით, რათა თავიდან იქნას აცილებული სხვა მესამე პირების მიერ უკანონო/თაღლითური დანაშაულებრივი ქმედებები,ამასთანავე მითითებული რეკვიზიტები აუცილებლად ეკუთვნის შემსრულებელს.

საფასურის გადახდა ვებსაიტის და მობილური აპლიკაციის საშუალებით - ავტომობილის დაჯავშნის საფასური, ქირავნობის საფასურის გადახდა რომელიც ხორციელდება მომხმარებლის მიერ ბარათის მონაცემების შეყვანით ან/და სხვა მოქმედებების შესრულებით (გადახდა ტელეფონზე დაწკაპუნებით ApplePay-ის, GooglePay-ის და სხვა პრინციპების გამოყენებით).

საკომისიო შემსრულებლის რეკვიზიტებზე გადახდისას - კომპანიის მონაცემების გამოყენებით გადახდისას, თანხის საკომისიოს გადახდა მოხდება ხელშეკრულების შესაბამისად შემსრულებლისა და იმ პირს შორის, რომელიც უწევს მომსახურებას გადახდებთან დაკავშირებით:ეკვაირინგი,საბანკო მომსახურება და სხვა მომსახურება რომელიც ხელს უწყობს შემსრულებლის ანგარიშებზე/რეკვიზიტებზე მომსახურების საფასურის ჩარიცხვას.

დეპოზიტი, საგარანტიო დეპოზიტი - არის ავტომობილის მიღების აქტში მითითებული თანხა რომელიც დამქირავებელმა უნდა გადაიხადოს ავტომობილის მიღებისთანავე. დეპოზიტი ავტომობილის კლიენტს/მძღოლს უბრუნდება ავტომობილის დაბრუნების შემდეგ, ხელშეკრულებაში მითითებული წესით და ვადებში. დეპოზიტის გადახდა შესაძლებელია ნაღდი ფულით, უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო ბარათით.

საგზაო მოძრაობის წესები, - წესები, რომლებიც არეგულირებს ავტომობილის მართვის, გამოყენების, უსაფრთხოების, ექსპლუატაციის, რეგისტრაციისა და მართვის ნებართვის მიღების, გზებზე მოძრაობის პროცედურებს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით და რომლის შესრულებაც სავალდებულოა ყველა მძღოლისთვის.

ავტოსატრანსპორტო საგზაო შემთხვევა (ავარია) - მოვლენა, რომლის შედეგადაც ზიანი მიადგა გაქირავებულ ავტომობილს, ფიზიკურ პირებს, (მესამე პირები) ან/და მესამე პირების ქონებას, მონაწილეთა რაოდენობისა და ინციდენტის დროს შემთხვევის ადგილზე პირთა ყოფნის ან არყოფნის მიუხედავად.

ავტომობილის სრული განადგურება - ავტომობილისთვის მიყენებული ზიანი, რომლის შეკეთების ან დაზიანების აღმოფხვრის ღირებულება ტოლია ან აღემატება მსგავსი ავტომობილის ღირებულების 50%-ს.

ავტომობილის მიღების სახელმწიფოს საზღვარი - სახელმწიფოს საზღვრები ან/და ადმინისტრაციული საზღვრები, რომელზეც ვრცელდება ქვეყნის სუვერენული ხელისუფლება. ავტომობილის მიმღები სახელმწიფო ნიშნავს სახელმწიფოს, რომელიც მითითებულია ავტომობილის გადაცემის ადგილად.

2. ქირავნობის საგანი

2.1. ამ ხელშეკრულების შესაბამისად დამქირავებელი უკვეთავს, ხოლო შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ავტომობილის დარეზერვება/დაჯავშნის მომსახურებაზე საიტის ან/და მობილურის აპლიკაციის მეშვეობით.

2.2. ამ შეთანხმების თანახმად, კლიენტი იღებს დაქირავებულ ავტომობილს ვებსაიტზე მითითებული და კონტრაქტორის მიერ მოწოდებული პირობებით და ავტომობილების

გაქირავების კომპანია იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს ავტომობილი მომხმარებელს ან/და კლიენტს/მძღოლს შეკვეთის ფორმაში მითითებული პირობებით.

2.3. ავტომობილის რეზერვირება/დაჯავშნის სერვისი ითვლება შემსრულებლის მიერ მოწოდებულად და მომხმარებლის მიერ სრულად მიღებულად იმ მომენტიდან, როდესაც დამკვეთი განახორციელებს გადახდას შემსრულებლის რეკვიზიტების გამოყენებით, გადახდა ხდება ვებსაიტზე ან/და მობილურ აპლიკაციაში.

2.4. ავტომობილის გაქირავების სერვისი ჩაითვლება გაწეულად ავტომობილის კლიენტისთვის ფიზიკური გადაცემის მომენტიდან ავტომობილის გაქირავების კომპანიის მიერ და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან..

2.5 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებზე თანხმობით, დამქირავებელი/კლიენტი ადასტურებს რომ ყურადღებით და დეტალურად გაეცნო ვებ-საიტზე განთავსებულ ხელშეკრულების პირობებს, კერძოდ:

2.5.1 შეკვეთის განთავსებისთვის მოთხოვნების წესებს, ავტომანქანის დარეზერვება/დაჯავშნის შეკვეთის გაუქმების, ავტომობილის დაჯავშნის გაუქმების პროცედურების ვადებს და შესაბამის მომსახურებებს საიტზე.

2.5.2 ავტომობილის ქირავნობის მომსახურების პირობებს.

2.5.3. ავტომობილის ქირავნობის საფასურის ოდენობას.

2.5.4 ვებ-საიტზე მითითებულ სხვა პირობებს, რომლებიც აუცილებელია ამ ხელშეკრულების დადებისა და ავტომობილის მიღების აქტის გაფორმებისთვის.

2.6 ამ ხელშეკრულების პირობებზე თანხმობით, დამქირავებელი ადასტურებს მის უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას, მათ შორის 18 წლის ასაკის მიღწევას(ფიზიკური პირებისთვის), საბანკო ბარათით გადახდისას მის კანონიერ გამოყენებას (მისი გამოყენებით მომსახურების გადახდის შემთხვევაში) და ასევე აცნობიერებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-ვალდებულებებს.

2.7 ხელშეკრულების პირობებზე თანხმობით, მომხმარებელი ადასტურებს ვებგვერდზე მძღოლის/კლიენტის და საკუთარი თავის შესახებ შევსებული მონაცემების სიზუსტეს.

3. ჯავშნის/რეზერვირების პირობები

3.1. ჯავშნის განხორციელების საფასური და გადახდის პროცედურა:

3.1.1. ავტომობილის დაჯავშნა/რეზერვირების განხორციელდება შემსრულებლის მიერ ხორციელდება გადახდის საკომისიოს მეშვეობით, არის ფასიანი.

3.1.1.1. ავტომობილების გაქირავების კომპანიის ან/და მფლობელის მიერ, თუ კონტრაქტორი, ავტომობილების გაქირავების კომპანია და მფლობელი არ არიან ერთი და იგივე პირები და იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელმა, მძღოლმა/კლიენტმა მიიღო ავტომობილი ავტომობილების გაქირავების კომპანიისგან ან მფლობელისგან ვებსაიტის მეშვეობით განთავსებული წინასწარი შეკვეთით, რისთვისაც ერთის მხრივ, ავტომობილების გაქირავების კომპანიას ან/და მფლობელს და მეორეს მხრივ,

მომხმარებელს ან/და მძღოლს/კლიენტს შორის გაფორმებულია ავტომობილის გაქირავების/იჯარის ხელშეკრულება ან/და ავტომობილის მიღება-ჩაბარების აქტი. ამ შემთხვევაში, კონტრაქტორის ანაზღაურებას გადაიხდის ავტომობილების გაქირავების კომპანია ან/და მფლობელი მათსა და კონტრაქტორს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3.1.1.2. მომხმარებელს, შეკვეთის განთავსებისას ავტომობილის დაქირავების დარეზერვირება/დაჯავშნის მომსახურებისთვის წინასწარი გადახდის გზით ან შეკვეთის დასრულების შემდეგ, შეკვეთის ფორმის შესაბამისად, საბანკო ბარათის გამოყენებით წინასწარი გადახდის გზით, ანგარიშზე გადარიცხვით, ელექტრონული ფულადი გზავნილების გამოყენებით გადახდის გზით, ნაღდი ფულით ან სხვა საშუალებით, შეკვეთის განთავსებისას ვებსაიტზე ან/და დროულად, უფლება აქვს ვებსაიტზე მითითებული ან ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი გადახდის პირობების შესაბამისად.

3.1.1.3. იმ შემთხვევაში თუ დამქირავებელი გააუქმებს ჯავშანს ისე რომ დაარღვევს ჯავშნის უფასო გაუქმების პირობებს, თუ ასეთი შეკვეთა არ იქნა გადახდილი საიტზე ან სხვა გზით შემკვეთის,მძღოლის/კლიენტის მხრიდან. თანხის გადახდა მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ან/და FAQ საიტზე.

3.1.2. შეკვეთის საფასურის გადახდისას შემკვეთისგან/კლიენტისგან ჩამოიჭრება საკომისიო ბანკის მიერ მომსახურებისთვის ან/და კლიენტი ვალდებულია შემსრულებელს გადაუხადოს საკომისიო, რომელიც მითითებულია გაქირავების პირობებში.

3.1.3. შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში, რომელიც წინასწარ, მძღოლისთვის/კლიენტისთვის ავტომობილის გადაცემამდე და ავტომობილის მიღების აქტის ხელმოწერამდე განხორციელდა და განხორციელდა ვებსაიტის ან/და მობილური აპლიკაციის მეშვეობით, და იმ პირობით, რომ გაუქმება არ არღვევს ვებსაიტზე მითითებულ პირობებს და განხორციელდება მითითებულ ვადაში, თანხის დაბრუნება შესაძლებელია ყოველგვარი ჯარიმებისა და საკომისიოს გარეშე. ასეთი თანხის დაბრუნება განხორციელდება გადახდის სისტემის წესებისა და ამ შეთანხმებაში ხელშეკრულებაში მითითებული პირობების შესაბამისად. ამ გზით თანხების დაბრუნებისას, კონტრაქტორი არ აუნაზღაურებს მომხმარებელს ან უფლება აქვს, მომხმარებლისთვის დასაბრუნებული თანხიდან (იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორსა და გადახდის სისტემას შორის შეთანხმებით გათვალისწინებულ საკომისიოს შემსრულებელი იხდის ანგარიშზე ჩარიცხული თანხებიდან) დააკავოს შეკვეთის განთავსებისას ან/და შეკვეთის გადახდისას გადახდილი საკომისიოს ღირებულება, მომხმარებლისთვის თანხების დაბრუნებისთვის გადახდის სისტემაში გადახდის საკომისიოს ღირებულება, გადასახადებისა და მოსაკრებლების ოდენობა, ოფიციალური გადასახადები, თუ ასეთი არსებობს, რომლების გადახდაც სავალდებულოა და არ ანაზღაურდეს მომხმარებლისთვის თანხების დაბრუნების შემდეგ.

3.1.4. შეკვეთის გაუქმების ვადა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია გადახდილი თანხის დაბრუნება მომხმარებლისთვის, განისაზღვრება ვებსაიტზე განთავსებული ავტომობილის გაქირავების პირობებით.

3.1.5 შემკვეთის მიერ შეკვეთის ვადების განსაზღვრა ხდება საიტზე ან/და მომხმარებლისთვის გაგზავნილ ელექტრონულ წერილში,ან/და საიტზე პირად სივრცეში.

3.2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.2.1. გამქირავებელი იღებს ვალდებულებას:

3.2.1.1 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული ქირავნობის მომსახურება.

3.2.1.2 უზრუნველყოს მომსახურების შეკვეთისა და გადახდის შესაძლებლობა საიტზე ან/და მობილურ აპლიკაციაში მოცემული გადახდის მეთოდების გამოყენებით.

3.2.1.3 კლიენტს გაუწიოს კონსულტაცია საიტით სარგებლობასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით .

3.2 .2 შემსრულებელს უფლება აქვს:

3.2.2.1 უარი თქვას მომსახურების გაწევაზე მომხმარებლის მიერ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების გამო.

3.2.2.2 უარი თქვას მომსახურების გაწევაზე მომხმარებლის/მძღოლის სავალდებულო მონაცემების არ მიწოდების გამო.

3.2.2.3 უარი თქვას მომსახურების გაწევაზე უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე:მძღოლი იმყოფება არაფხიზელ მდგომარეობაში, იმ შემთხვევაში თუ არსებობს ვარაუდი რომ მძღოლი იმყოფება ალკოჰოლური თრობის ქვეშ, ჩაიდინა თაღლითობა ან ეჭვია თაღლითობის მცდელობაზე, ან სხვა დანაშაული.

3.2.3. დამქირავებელი იღებს ვალდებულებას:

3.2.3.1 დაიცვას ამ შეთანხმების პირობები.

3.2.3.2 მიიღოს ავტომობილი შეკვეთაში მითითებულ ვადებში და ადგილას, მათ შორის შეატყობინოს კლიენტს/მძღოლს შეკვეთაში მითითებული გარემოებების შესახებ.

3.2.3.3 იქონიოს დედანი დოკუმენტები, რომლებიც იძლევა ხელშეკრულების დადებისა და ავტომობილის ქირავნობის უფლების გამოყენების საშუალებას.

3.2.3.4 გაეცნოს ვებგვერდზე განთავსებულ ავტომობილის გაქირავების წესებსა და პირობებს.

3.2.4 დამქირავებელს უფლება აქვს:

3.2.4.1. მოითხოვოს კომპანიისგან მომსახურების გაწევა ამ ხელშეკრულების და ვებ-საიტზე მითითებული პირობების შესაბამისად.

3.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის გზები:

3.3.1. დამქირავებელი პასუხისმგებელია შეკვეთის ფორმიდან და ავტომობილის მიღების აქტიდან ინფორმაციის დაკარგვის, გადაცემის ან გამჟღავნებისთვის.

3.3.2. შემსრულებელი არ არის პასუხისმგებელი დამქირავებლის მიერ მომსახურების მიუღებლობაზე შემდეგი პირობების შემთხვევაში:

3.3.2.1 თუ დამკვეთი ან/და მძღოლი/კლიენტი უარს განაცხადებს ავტომობილის მიღების აქტის ხელმოწერაზე;

3.3.2.2 დამქირავებლის მიერ ვებსაიტზე მომსახურების შეკვეთისას არაზუსტი მონაცემების მოწოდებისას (მომხმარებლის, მძღოლის/კლიენტის გვარი და სახელი, ავტომობილის მიღების თარიღი და ა.შ.);

3.3.2.3 თუ მძღოლი/კლიენტი (რომელიც მართავს ავტომობილს) არ წარადგენს პასპორტის და მართვის მოწმობის მონაცემებს.

3.3.2.4 თუ მძღოლის/კლიენტის მიერ მოხდება ისეთი დოკუმენტების წარდგენა, რომლებიც შეუძლებელს ხდის ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვას, მათ შორის მართვის მოწმობაში შესაბამისი კატეგორიის არარსებობა, პასპორტსა და მართვის მოწმობაში განსხვავებული გვარები, სახელები, მათ შორის უცხო ენაზე განსხვავებული ჩანაწერი.

3.3.2.5 მძღოლი/კლიენტი ფიზიკურად ვერ მიიღებს ავტომობილს იმ მდგომარეობის გამო, რომელიც აფერხებს ავტომობილის მართვას: მაგ: ალკოჰოლური/ნარკოტიკული თრობა, მედიკამენტების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა.ასეთი მდგომარეობაში ყოფნის დასადგენად საკმარისია კლიენტთან გასაუბრება და კომპანიის ახსნა-განმარტება.

3.3.2.6. სხვა პირობები, რომლებიც არ არის დაკავშირებული შეკვეთის და ავტომობილის დაქირავების ხელშეკრულების ვებსაიტზე რეგისტრაციასთან.

3.3.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხების გადაწყვეტისას მხარეებმა უნდა იხელმძღვანელონ დამქირავებლის(მძღოლის,კლიენტის) იმ პერსონალური მონაცემებით რომლებიც მათ მიუთითეს ვებსაიტზე ან/და მობილურ აპლიკაციაში მომსახურების შეკვეთისა და საფასურის გადახდისას. თუ პერსონალური მონაცემები ისეა მითითებული, რომ არ იძლევა მომსახურების საბოლოო მიმღების (მომხმარებელი, მძღოლი/კლიენტი) იდენტიფიცირების საშუალებას, კომპანიას უფლება აქვს უარი თქვას მომხმარებელს სადავო საკითხის გადაწყვეტაზე.

3.3.4 შემსრულებელი პასუხს არ აგებს თუ შემკვეთმა ვერ მიიღო შეკვეთის ბლანკი ტექნიკური საშუალებების და საკომუნიკაციო არხების მუშაობის შეფერხების/პრობლემის გამო, ასეთ შემთხვევაში დამქირავებელი ვალდებულია საფასურის გადახდიდან ერთი საათის განმავლობაში დაუკავშირდეს კომპანიის დახმარების სამსახურს ვებსაიტზე ან/და მობილურ აპლიკაციაში მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებით.

3.3.5. ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ მოლაპარაკებების გზით შემკვეთის წერილობითი მიმართვის არსებობისას,რომელიც გადმოცემულია საფოსტო მომსახურების მეშვეობით. წინასასამართლო დავის რეგულირება მიზანშეწონილია.

3.3.6. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხებზე შეთანხმების მიღწევას მოლაპარაკებების გზით, ეს საკითხები გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.3.7 ყველა იმ საკითხი რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ავტომობილების ქირავნობა

4.1. ავტომობილის ქირავნობის მომსახურების საფასური და გადახდის წესი:

4.1.1. ავტომობილის ქირავნობის საფასური გამოითვლება დღიური ტარიფის მიხედვით, რომელიც დამოკიდებულია ავტომობილის კლასზე, დღეების რაოდენობაზე და კლიენტის მიერ შეკვეთილი სხვა მომსახურების ღირებულებაზე. შეკვეთის ფორმაში ან/და მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ მთლიან საფასურს კლიენტი იხდის ავტომობილის ქირავნობასთან ერთად. ავტომობილის დაბრუნებისას კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს დამატებითი საფასური ჭარბი გარბენის (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ავტომობილი მიიღება გარბენის შეზღუდვის გარეშე) და ქირავნობის პერიოდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, დღიური ძირითადი ტარიფების საფუძველზე. ავტომობილის ოფისის გარეთ მიყვანის/დაბრუნების, მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული გარბენის (დამატებითი კილომეტრების) გადაჭარბების, ავტომობილის რეცხვის საფასური დგინდება მომსახურების საფასურის გადახდის დროს მოქმედი ფასების მიხედვით.

4.1.2. კლიენტი ავტომობილის მიღებისთანავე წინასწარ უხდის საგარანტიო დეპოზიტს კომპანიას. დეპოზიტის ოდენობა დამოკიდებულია გაქირავებული ავტომობილის მოდელზე, კლიენტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებზე და მითითებულია შეკვეთის ფორმაში ან/და მიღება-ჩაბარების აქტში. დეპოზიტი კლიენტს უბრუნდება ხელშეკრულების პირობების შესრულებისთანავე, გაქირავებული ავტომობილის კომპანიაში დაბრუნებისთანავე. ბარათით მომსახურების გადახდისას, საგარანტიო დეპოზიტის ოდენობა იბლოკება კლიენტის ანგარიშზე. დეპოზიტის დაბრუნება შეიძლება გადაიდოს კომპანიის მიერ, თუ კლიენტი დააბრუნებს ავტომობილს ტექნიკურად გაუმართავ ან გაურეცხავ მდგომარეობაში, ტექნიკური გაუმართაობის გარემოებების გარკვევამდე, ავტომობილის გარეცხვამდე და შემოწმებამდე.

4.1.3. ავტომობილის ქირავნობის საფასურის გადახდისას,საგარანტიო თანხისა, საბანკო დაწესებულებების ან გადახდის მომსახურების მიმწოდებელი სხვა კომპანიების მიერ შესაძლებელია მოხდეს საკომისიო მოსაკრებელის დაქვითვა, ასეთ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია ავტომობილის გამქირავებელ კომპანიას აუნაზღაუროს აღნიშნული დანაკლისი იმ ოდენობით რა ოდენობითაც საბანკო დაწესებულებამ განახორციელა მისი დაქვითვა,იმ მოცულობით რაც მითითებულია ხელშეკრულებაში ან გადახდისას.

4.2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.2.1. ავტომობილის გამქირავებელი კომპანია იღებს ვალდებულებას:

4.2.1.1. უზრუნველყოს ამ შეთანხმების პირობებით, მიღების აქტით გათვალისწინებული მომსახურება.

4.2.1.2. უზრუნველყოს მომსახურების შეკვეთისა და გადახდის შესაძლებლობა საიტზე ან/და მობილურ აპლიკაციაში მოცემული გადახდის მეთოდების გამოყენებით.

4.2.1.3. უზრუნველყოს კონსულტაციები საიტის და შეკვეთილი მომსახურების გამოყენებასთან დაკავშირებით.

4.2.2. ავტომობილების გაქირავების კომპანიას უფლება აქვს:

4.2.2.1. უარი თქვას მომსახურების გაწევაზე მომხმარებლის მიერ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების გამო, მიღების აქტში მითითებული პირობების შესაბამისად.

4.2.2.2. უარი თქვას მომსახურების გაწევაზე მომხმარებლის/მძღოლის მონაცემების არ გადაცემის გამო, რომლებიც საჭიროა ავტომობილის გაქირავების ფორმალიზებისთვის.

4.2.2.3. უარი თქვას მომსახურების გაწევაზე უსაფრთხოების საკითხების გამო: მძღოლი ნასვამ მდგომარეობაშია, ან არსებობს ეჭვი რომ არის ნასვამ მდგომარეობაში, ეჭვმიტანილია ან/და ჩაიდინა თაღლითობა, ან თაღლითობის მცდელობა, ან სხვა დანაშაული.

4.2.2.4. ცალმხრივად შეწყვიტოს ავტომობილის გაქირავების ეს ხელშეკრულება ვადაზე ადრე და მოითხოვოს ავტომობილის დაუყოვნებლივ დაბრუნება, ამ შემთხვევაში გაქირავების ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება კლიენტის/მძღოლის შეტყობინების მომენტიდან და ავტომობილი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ავტომობილის გაქირავების კომპანიას. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძვლები შეიძლება მოიცავდეს, სხვა საკითხებთან ერთად, ავტომობილების გაქირავების კომპანიის მიერ კლიენტის მიმართ ნდობის ნაკლებობას, კლიენტის მიერ თაღლითური ან დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ ინფორმაციის მიღებას.

4.2.2.5. ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება ან/და უარი თქვას კლიენტისთვის/მძღოლისთვის მომსახურების გაწევაზე უარის თქმის მიზეზების ახსნის გარეშე. კლიენტის მიერ წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება მას ხელშეკრულებითა და სატრანსპორტო საშუალების მიღება-ჩაბარების აქტით მითითებული პირობების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში.

4.2.3. კლიენტი იღებს ვალდებულებას:

4.2.3.1. დაიცვას წინამდებარე შეთანხმებაში და სატრანსპორტო საშუალების მიღების აქტში მითითებული პირობები.

4.2.3.2. მიიღოს სატრანსპორტო საშუალება შეკვეთაში მითითებულ ვადებში და ადგილას.

4.2.3.3. იქონიოს სატრანსპორტო საშუალების ქირავნობისთვის საჭირო დოკუმენტების დედნები ვებსაიტზე ან/და მობილურ აპლიკაციაში ან/და შეკვეთის ფორმაში.

4.2.3.4. გაეცნოს ვებსაიტზე და მობილურ აპლიკაციაში მითითებულ სატრანსპორტო საშუალების ქირავნობის წესებსა და პირობებს.

4.2.3.5. ისარგებლოს ნაქირავები ავტომობილით სატრანსპორტო საშუალების მიღების აქტში მითითებულ/განსზაღვრულ ტერიტორიაზე, სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის გარეშე.

4.2.3.6. ისარგებლოს სატრანსპორტო საშუალებით ექსპლუატაციის ინსტრუქციის შესაბამისად, დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები მყარი საფარის საერთო სარგებლობის გზებზე.

4.2.3.7. არ გამოიყენოს სატრანსპორტო საშუალება:

4.2.3.7.1. სხვა სატრანსპორტო საშუალების ბუქსირებისთვის;

4.2.3.7.2. ტაქსად,სასწავლო მიზნით, რბოლებსა ან/და შეჯიბრებებში, ასევე აკრძალულია ტესტ-დრაივებში მონაწილეობის მიღება.

4.2.3.7.3. თუ კლიენტი/მძღოლი იმყოფება ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, ან იმ მედიკამენტების ზემოქმედების ქვეშ, რომლებსაც უკუჩვენება გააჩნია ავტომობილის მართვისას.

4.2.3.7.4. კლიენტს ეკრძალება ისეთი ქმედების ჩადენა, რომლებიც იწვევს სისხლის სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

4.2.3.8. კლიენტი ვალდებულია დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, ნაქირავები ავტომობილით არ გადაიტანოს არ შეინახოს ცეცხლსაშიში, ადვილად აალებადი ან ასაფეთქებელი ნივთიერებები და საგნები.

4.2.3.9. კლიენტი ვალდებულია დაემორჩილოს საგზაო მოძრაობის წესებს, ავტოსაგზაო სატრანსპორტო შემთხვევისას ვალდებულია არ დატოვოს შემთხვევის ადგილი და ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად უარი არ განაცხადოს სამედიცინო შემოწმებაზე.

4.2.3.10. კლიენტს ეკრძალება მესამე პირებისათვის ავტომობილის სამართავად გადაცემა.

4.2.3.11. კლიენტი ვალდებულია ავტომობილი დატოვოს მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ავტოსადგომებსა და სადგომებზე.

4.2.3.12. კლიენტი ვალდებულია არ დაუშვას საგზაო მოძრაობის წესების უხეში დარღვევები, როგორიცაა: წითელი შუქნიშნის ან საგზაო მოძრაობის კონტროლიორის მითითების უგულებელყოფა; პარკირების წესების დარღვევა; საპირისპირო მოძრაობის ზოლში გადასვლა იმ ადგილებში, სადაც ასეთი მოძრაობა აკრძალულია. მაქსიმალური დასაშვები სიჩქარის 20 კმ/სთ-ზე მეტით გადაჭარბება; ერთი ან ორი ღერძულა საგზაო მონიშვნის ხაზის გადალახვა.

4.2.3.13. კლიენტი ვალდებულია არ დაუშვას წყლის მოხვედრა სატრანსპორტო საშუალების ძრავში,არ მოახდინოს ავტომობილის მართვა წყლის დიდ გუბეებში და ა.შ იგი ვალდებულია შეწყვიტოს სატრანსპორტო საშუალების მართვა/გამოყენება რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში.

4.2.3.14. არ დატოვოთ ავტომობილის გასაღები და რეგისტრაციის მოწმობა ავტომობილში და არ გადასცეთ ისინი მესამე პირებს.

4.2.3.15. კლიენტს ეკრძალება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ან/და გადაკვეთის მცდელობა ნაქირავები ავტომობილით.

4.2.3.16. კლიენტი ვალდებულია ნებისმიერი ინციდენტის, ავტო საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის ან ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ავტომობილის გამქირავებელ კომპანიას, სადაზღვევო კომპანიას და მიიღოს ყველა შესაძლო ზომა ზიანის ოდენობის გაზრდის თავიდან ასაცილებლად.

4.2.3.17. კლიენტი ვალდებულია მიაწოდოს ავტომობილების გამქირავებელ კომპანიას ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომელიც კლიენტმა/მძღოლმა მოამზადა, მიიღო ან ხელი მოაწერა ნებისმიერი ინციდენტის ავტოსაგზაო სატრანსპორტო შემთხვევის ან ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში,

4.2.4. კლიენტს უფლება აქვს:

4.2.4.1. მოითხოვოს, რომ ავტომობილის გამქირავებელმა კომპანიამ გაწიოს მომსახურება ამ შეთანხმების, ავტომობილის მიღება-ჩაბარების აქტის, შეკვეთის ფორმის, მათ შორის ვებსაიტზე და მობილურ აპლიკაციაში მითითებული პირობების შესაბამისად.

4.2.4.2. ვადაზე ადრე შეწყვიტოს ქირავნობის საგნის გამოყენება. ამ შემთხვევაში ქირავნობის საფასური გამოითვლება თითოეული დღისთვის, დღიური ძირითადი ტარიფის საფუძველზე, ხოლო დარჩენილ თანხას გამოაკლდება 30% ,რომელიც არის კომპენსაცია ავტომობილის გაქირავების კომპანიისათვის დაკარგული სარგებლისათვის და დარჩენილი თანხა დაუბრუნდება კლიენტს.

4.2.4.3. გააგრძელოს ქირავნობის ხელშეკრულება და ავტომობილის გამოყენების ვადა, რის შესახებ კლიენტი ვალდებულია აცნობოს ავტომობილის გაქირავების კომპანიას ქირავნობის დასრულებამდე არაუგვიანეს 24 საათით ადრე. ავტომობილის ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელების შემთხვევაში,ასევე თუ არ არსებობს შეკვეთა ამავე ავტომობილზე, შეკვეთის ძირითად ოდენობას ემატება დღიური ძირითადი ტარიფი, ყოველი დამატებითი დღისთვის და მხარეებს შორის იდება დამატებითი ხელშეკრულება, რა დროსაც კლიენტი ახორციელებს გადახდას ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელებისთვის და საბოლოო ანგარიშსწორება ხდება ავტომობილის დაბრუნებისთანავე.

4.2.5. კლიენტის ქმედებები საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში:

4.2.5.1. ნებისმიერი სახის ინციდენტის, ავტოსაგზაო სატრანსპორტო შემთხვევის, ავტომობილის დაზიანების, ტრავმის, მატერიალური ზიანის, ძარცვის, ავტომობილის ქურდობის ან ასეთი ქურდობის საფრთხის შემთხვევაში და ა.შ., ბრალეულობის მიუხედავად კლიენტი ვალდებულია მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს, ასევე მომხარი ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ავტომობილის გამქირავებელ კომპანიას და მკაცრად დაიცვას მითითებები.

4.3. კლიენტის პასუხისმგებლობა

4.3.1. კლიენტი იღებს ვალდებულებას ავტომობილი დააბრუნოს მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ დღეს, დროსა და ადგილას.

4.3.2. გაქირავებული ავტომობილი კომპანიას უნდა დაბრუნდეს ისეთ ტექნიკურ მდგომარეობაში რომელშიც გადაეცა შემკვეთს ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით, ხელშეკრულებისა და გადაცემის აქტის პირობებით დაშვებული გარბენით.

4.3.3. თუ ქირავნობის პერიოდის გახანგრძლივება წინასწარ არ არის შეთანხმებული კომპანიასთან და კლიენტი ქირავნობის ვადას გადააჭარბებს 01 საათით, საფასურის გადახდა განხორციელდება მომდევნო დღისთვის სრულად. დამატებით ავტომობილების გაქირავების კომპანიას შეუძლია კლიენტის დააკისროს საჯარიმო სანქცია დეპოზიტის ოდენობით თუ კომპანიას ან/და შემსრულებელს,ან მათ პარტნიორებს შეუვიდათ შეკვეთა მოცემულ ავტომობილზე და შემკვეთს გადახდილი აქვს თანხა წინსწრებით ნებისმიერი ოდენობით.

4.3.4. ავტომობილის ქირავნობისას გათვალისწინებულია საწვავი გარკვეული რაოდენობით, რაც ასევე მითითებულია მიღება-ჩაბარების აქტში. ქირავნობის ხელშეკრულების დასრულებისას ავტომობილი უნდა დაბრუნებულ იქნას იმავე რაოდენობის საწვავით.

4.3.5. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების 4.3.4 პუნქტში მითითებულ წესს, კლიენტი/მძღოლი ვალდებულია ავტომობილის დაბრუნებისას, გამქირავებელ კომპანიას გადაუხადოს ჯარიმა საწვავის დანაკლისის შემთხვევაში ავტომობილის დაბრუნების დროს ბენზინგასამართ სადგურზე დადგენილი საწვავის ღირებულების მიხედვით, რასაც ემატება 20% დაკლებულ საწვავის თითოეულ ლიტრზე, იმ საწვავის ოდენობამდე რომელიც ავტომობილის გადაცემისას იყო განსაზღვრული.

4.3.6. თუ კლიენტი დააბრუნებს ავტომობილს მიღებული საწვავის რაოდენობაზე მეტი ოდენობით, ავტომობილის გაქირავების კომპანია არ იხდის დარჩენილ საწვავის საფასურს. ავტომობილის ავზის მოცულობა და გადაცემისას დარჩენილი საწვავის ოდენობა განისაზღვრება მიღება-ჩაბარების აქტით.

4.3.7. კლიენტი სრულად არის პასუხისმგებელი ავტომობილის გაქირავების კომპანიის წინაშე ნებისმიერი დანაკარგისთვის/ზიანისთვის, რომელიც მიადგა კომპანიას ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში (დაქირავებული ავტომობილის ქურდობა, საგზაო შემთხვევა, მინის ან მისი ნაწილების დაზიანება, ხანძარი, აფეთქება, ასევე მესამე მხარის ან თავად კლიენტის სხვა ქმედებები, რის შედეგადაც მიყენებული იქნა ზიანი) და დაკავშირებულია კლიენტის/მძღოლის მიერ ამ ხელშეკრულების, მიღების აქტის ან/და მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის, საგზაო მოძრაობის წესების) პირობების შეუსრულებლობასთან/დარღვევასთან, გარდა იმ დანაკარგებისა, რომელთა ანაზღაურებასაც ახორციელებს მზღვეველი(სადაზღვევო კომპანია) დაზღვევის პირობების შესაბამისად.

4.3.8. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ან/და მიღების აქტით დადგენილი ვალდებულების დარღვევისას, რამაც გამოიწვია სადაზღვეო შემთხვევის დადგომა, პირი, რომელიც დაზარალდა და რომელმაც მიიღო შესაბამისი კომპენსაცია მზღვეველისგან, გადასცემს მოთხოვნის უფლებას მზღვეველს ზიანზე პასუხისმგებელ პირზე (კლიენტზე) .

4.3.9. კლიენტის პასუხისმგებლობის შეზღუდვა ავტომობილის ქურდობის, გატაცების, სრული განადგურების რისკებისა შეადგენს ავტომობილის ღირებულების 10%-ს, ხოლო სხვა დაზღვეული რისკების პასუხისმგებლობის შეზღუდვის ოდენობა განისაზღვრება კლიენტის მიერ გადახდილი დეპოზიტის თანხის სრული ოდენობით.

4.3.10. ნებისმიერი რისკის შეზღუდვა არ შეიძლება იყოს ამ ავტომობილის CASCO-ს დაზღვევის ხელშეკრულებით მითითებულ თანხაზე ნაკლები, რომელიც მოქმედებს დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას.

4.3.11. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო კომპანია უარს იტყვის სადაზღვევო კომპენსაციის ანაზღაურებაზე, ან კლიენტის ქმედების შედეგად კომპანიას მიადგება ზიანი, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვეო კომპანიის მიერ ან/და აღნიშნული ფაქტის შესახებ არ არის შეტყობინებული სადაზღვევო კომპანიისთვის, პასუხისმგებლობის შეზღუდვა და დეპოზიტის თანხის, ან ავტომობილის ღირებულების 10%-ის დაკავება არ ჩაითვლება კლიენტისთვის ყველა ვალდებულების შესრულებად ავტომობილის გამქირავებელი კომპანიის/მფლობელის წინაშე.

4.3.12. სადაზღვევო კომპანიის მიერ ავტომობილის გამქირავებელი კომპანიის/მფლობელისთვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების შემთხვევაში, ავტომობილის გამქირავებელ კომპანიას/მფლობელს უფლება აქვს კლიენტს დაუქვითოს ავტომობილის დეპოზიტზე განთავსებული თანხის სრული ოდენობა, იმ ზიანისთვის რომლებიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო კომპანიის მიერ CASCO-ს დაზღვევის პირობების მიხედვით,აუცილებელი დაზღვევის შემთხვევაში, სხვა სახის დაზღვევისას, კომპენსაცია მანქანის არ გაქირავების გამო, სხვა ხარჯების შემთხვევაში რაც გამოწვეულია ზემოაღნიშნული შემთხვევის გამო და არ ექვემდებარება ანაზღაურებას სადაზღვეო კომპანიისგან..

4.3.13. ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კლიენტის მიერ ავტომობილის დოკუმენტების, ტექნიკური დათვალიერების ტალონის (მისი შემცვლელი დოკუმენტები - ქვითარი), გასაღებების, ავტომობილის სარეგისტრაციო ნომრის დაკარგვის, ასევე მათი ქურდობის, ავტომობილის საბურავის დაზიანების (დაკარგვის, ქურდობის) შემთხვევაში, მიყენებული ზიანი გამოიანგარიშება და გამოიქვითება საგარანტიო დეპოზიტიდან, ხოლო დარჩენილი თანხა დაუბრუნდება კლიენტს.

4.3.14. თუ ბორბალი დაზიანებულია და მისი უსაფრთხო მართვისთვის გამოყენება შეუძლებელია (გაჭრა, დარტყმა, სადენიანი დაზიანება), კლიენტი იხდის იმავე ბრენდის 2 ახალი ბორბლის ღირებულებას, რომლებიც დამონტაჟებული იყო ავტომობილზე ავტომობილის მიღების დროს, ავტომობილის ერთ ღერძზე ერთნაირი პროტექტორის მქონე წყვილი ბორბლების შესაცვლელად.

4.4. დავის გადაწყვეტის წესი

4.4.1. „მხარეები“ მათ შორის წამოჭრილი ყველა საკითხის(დავის) გადაწყვეტისას რომელიც წარმოიქმნება მოქმედი ხელშეკრულების ან მის შესრულებასთან დაკავშირებით, ეცდებიან გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით, აუცილებელია მომხმარებლის, კლიენტის/მძღოლის მიერ წერილობითი განცხადება მიღებული

ფოსტით. წინასასამართლო დავების გადაწყვეტა სავალდებულოა მოლაპარაკების გზით.

4.4.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხებზე შეთანხმების მიღწევას მოლაპარაკებების გზით, ეს საკითხები გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4.3. ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არ რეგულირდება ამ შეთანხმების ტექსტით, მხარეები იხელმძღვანელებენ იმ ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობით, სადაც მიიღება დაქირავებული ავტომობილი.

5. პერსონალური მონაცემების დაცვა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების დადებისას მომხმარებელი, მძღოლი/კლიენტი თანხმობას აცხადებს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის ევროკავშირის შესაბამისი აქტების შესაბამისად, რომლებიც მიღებულია მომხმარებლის, მძღოლის/კლიენტისგან, ასევე მესამე მხარეებისგან. მომხმარებელი, მძღოლი/კლიენტი ადასტურებს, რომ ასეთი თანხმობის მიცემით, ისინი მოქმედებენ თავისი ნებით და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

5.2. პერსონალური მონაცემები შეიძლება მოიცავდეს:

5.2.1. სახელი და გვარი;

5.2.2. დაბადების თარიღი, თვე, წელი და დაბადების ადგილი;

5.2.3. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პასპორტი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც ხდება პირის იდენტიფიცირება) სერია და ნომერი;

5.2.4. ინფორმაცია საცხოვრებელი მისამართის რეგისტრაციის შესახებ;

5.2.5. მართვის მოწმობის რეკვიზიტები;

5.2.6. საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ): ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი;

5.2.7. ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებული სამედიცინო უკუჩვენებების არსებობის (არარსებობის) შესახებ;

5.2.8. ბიომეტრიული მონაცემები (ფოტოები);

5.2.9. ინფორმაცია სამუშაო ადგილის, თანამდებობის შესახებ;

5.2.10. სხვა პერსონალური მონაცემები

5.3. მომხმარებელი/დამქირავებელი თანახმაა რომ კომპანიამ/გამქირავებელმა განახორციელოს მის მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემების დამუშავება 5.2 პუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობას მომხმარებელი იძლევა წინამდებარე ხელშეკრულების დადებისა და შესრულების, დამატებითი მომსახურების მიწოდების, კომპანიის მიერ შემოღებული აქციების, გამოკითხვების, კვლევების (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ გამოკითხვების, ელექტრონული, სატელეფონო და მობილური კომუნიკაციების საშუალებით ჩატარებული

კვლევების) მონაწილეობის, გადაწყვეტილებების მიღების ან სხვა ქმედებების შესრულების მიზნით, რომლებიც იწვევს სამართლებრივ შედეგებს მომხმარებლის ან სხვა პირების მიმართ, რომ მომხმარებელი ათვიცნობიერებს შემსრულებლის მიერ წარმოდგენილ მომსახურებებს.

5.4. შემსრულებელი/გამქირავებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომხმარებლის, მძღოლის/კლიენტის მონაცემების სათანადო დაცვა.

5.5. მომხმარებლის, მძღოლის/კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება კომპანიის/გამქირავებლის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული მიზნის მისაღწევად საჭირო მოცულობით, შემდეგი შესაძლო გზებით: შეგროვება, ჩაწერა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე), სისტემატიზაცია, დაგროვება, შენახვა, ჩამონათვალის შედგენა, მარკირება, დაზუსტება (განახლება, მოდიფიკაცია), ამოღება, გამოყენება, გადაცემა (გავრცელება, მიწოდება, წვდომა), დეპერსონალიზაცია, დაბლოკვა, წაშლა, განადგურება, პერსონალური მონაცემების საზღვრისპირა გადაცემა, გამოსახულების მიღება ფოტოგრაფირებით, აგრეთვე ნებისმიერი სხვა მოქმედების შესრულება მომხმარებლის, მძღოლის/კლიენტის პერსონალურ მონაცემებთან, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. დამუშავება ხორციელდება როგორც ავტომატიზაციის ინსტრუმენტების დახმარებით, ასევე ასეთი ინსტრუმენტების გამოყენების გარეშე.

5.6. მომხმარებელი, მძღოლი/კლიენტი ადასტურებს, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე მის მიერ მიცემული თანხმობა ძალაშია მის მიერ კომპანიისთვის პერსონალური მონაცემების მიწოდების მომენტიდან განუსაზღვრელი ვადით (უვადოდ).

5.7. მომხმარებელს, მძღოლს/კლიენტს უფლება აქვს, კომპანიას გაუგზავნოს შესაბამისი წერილობითი შეტყობინება და უარი განაცხადოს პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, წერილობითი განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მისამართზე info@getmancar.com თანხმობის გაუქმების მომენტამდე სულ მცირე 90 (ოთხმოცდაათი კალენდარული) დღით ადრე. კომპანია, კლიენტს/მძღოლს შეუწყვიტავს Getmancar-ის ვებსაიტისა და მობილური აპლიკაციის სერვისებით სარგებლობაზე წვდომას იმ მომენტიდან როდესაც კლიენტი უარს განაცხადებს პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე, რასაც იგი აღიარებს და იაზრებს.

5.8. წინამდებარე ხელშეკრულების დადებით, მომხმარებელი, მძღოლი/კლიენტი აცხადებს თანახმობას რომ თუ ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად აუცილებელია პერსონალური მონაცემების მესამე მხარისთვის (მათ შორის უფლებამოსილი სახელმწიფო უწყებებისთვის) მიწოდება, ასევე მესამე მხარეების დაქირავებისას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად (მომსახურების გაწევისთვის), როდესაც კომპანია თავის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს სხვა პირს გადასცემს (ვალდებულების შესაძლებლობის განხილვისა და გადაცემის, ვალის ამოღების და ა.შ. გადაწყვეტილების მიღების მიზნით), კომპანიას უფლება აქვს, მომხმარებლისგან დამატებითი თანხმობის მიღების გარეშე, საჭირო მოცულობით გაამჟღავნოს მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია და გადასცეს იგი მესამე მხარეს, მათ წარმომადგენლებს და სხვა პირებს, რომლებიც მათ მიერ არიან უფლებამოსილნი ზემოაღნიშნული ქმედებების შესასრულებლად, ასევე მიაწოდოს ასეთ პირებს შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს ამ ინფორმაციას, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

5.9. მომხმარებელი,მძღოლი/კლიენტი აღიარებს და ადასტურებს, რომ მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა ითვლება მის მიერ ნებისმიერი მესამე მხარისთვის გადაცემულად, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით და ნებისმიერ მესამე მხარეს აქვს უფლება დაამუშაოს პერსონალური მონაცემები ამ თანხმობის საფუძველზე.

5.10. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია განიხილავს მესამე პირთათვის უფლებების გადაცემის (დათმობის) საკითხებს, მძღოლი/კლიენტი თანახმობას აცხადებს მათთვის (მესამე პირები) პერსონალური მონაცემების გადაცემაზე.თუ შემსრულებელი გადასცემს თავის უფლება-მოვალეობებს,მას აქვს უფლება არ ჩააყენოს ამის შესახებ შემკვეთი,მძღოლი/კლიენტი საქმის კურსში.

5.11. მომხმარებელი, მძღოლი/კლიენტი თანხმობას აცხადებს კომპანიისგან მიიღოს სარეკლამო შეტყობინებები, რომლებიც შეიცავს კომპანიის ან/და მისი პარტნიორების და/ან სხვა მესამე მხარეების საქონლისა და მომსახურების რეკლამებს, მომხმარებლის,მძღოლის/კლიენტის მიერ რეგისტრაციის დროს მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართსა და მობილური ტელეფონის ნომერზე (მათ შორის WhatsApp-ში, Viber-ში, Telegram-ში და ა.შ.) ასევე სხვა ელექტრონული ფოსტის მისამართებსა და მობილური ტელეფონის ნომრებზე (მათ შორის WhatsApp-ში, Viber-ში, Telegram-ში და ა.შ.), რომლებიც მომხმარებელმა,მძღოლმა/კლიენტმა ამ შეთანხმების შესაბამისად აცნობა კომპანიას. თუ მომხმარებელი, მძღოლი/კლიენტი კომპანიას სთხოვს, შეწყვიტოს მათთვის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა, კომპანია ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ასეთი გავრცელება იმ მომხმარებლის, მძღოლის/კლიენტის მიმართ, რომელმაც წარადგინა შესაბამისი მოთხოვნა.

5.12. წინამდებარე ხელშეკრულების დადებით მომხმარებელი, მძღოლი/კლიენტი თანხმობას უცხადებს კომპანიას ან კომპანიის მიერ დაქირავებულ წარმომადგენელს (გადახდის სისტემას), ჩამოწეროს თანხები კლიენტის, მძღოლის/კლიენტის საბანკო ბარათიდან (მომხმარებლის, მძღოლის/კლიენტის მიერ მითითებული საბანკო ბარათი) და გადაიხადოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდა შემდგომი აქცეპტის გარეშე, მომხმარებლის, მძღოლის/კლიენტისგან დამატებითი თანხმობის მიღების გარეშე, მათ შორის, Getmancar-ის მომსახურების გაწევის ანაზღაურება, ჯარიმები, ზიანის ანაზღაურება, კომპანიის ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა მომხმარებლის, მძღოლის/კლიენტის მიერ ხელშეკრულებ შეუსრულებლობასთან ან/და არასათანადოდ შესრულებასთან დაკავშირებით, დამატებითი და სპეციალური ტარიფების ოდენობა (სააბონენტო გადასახადის ჩათვლით), ფრენშიზის ოდენობა, სხვა თანხები მოქმედი კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5.13. მომხმარებელი, მძღოლი/კლიენტი თანახმაა რომ კომპანიამ ჩაიწეროს შემკვეთის, მძღოლის/კლიენტის საუბრები კომპანიის კლიენტების მხარდაჭერის სამსახურთან და მიაწოდოს ასეთი ჩანაწერები მესამე პირებს.

5.14. მომხმარებელი, მძღოლი/კლიენტი თანახმაა რომ კომპანიამ ან/და მისმა პარტნიორებმა (გადახდის სისტემები), შეინახონ მომხმარებლის, მძღოლის/კლიენტის საბანკო ანგარიშის ან/და საბანკო ბარათის მონაცემები ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, კანონით დაშვებულ ფარგლებში და აუცილებელი

გადასახადების განსახორციელებლად, რომლითაც მომხმარებელი, მძღოლი/კლიენტი იხდის Getmancar-ის მომსახურებისთვის.

5.15. მომხმარებელს, მძღოლს/კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემების წაშლა ან/და გააუქმოს მისი მონაცემების დამუშავების უფლება ამ შეთანხმების ვადის გასვლის შემდეგ და ამ შეთანხმების 5.7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

5.15.1. თუ კანონით დადგენილი სამართლებრივი ან ფინანსური პრეტენზიების წარდგენის ხანდაზმულობის ვადა არ არის გასული.

5.15.2. თუ მომხმარებელს, მძღოლს/კლიენტს აქვს ფინანსური დავალიანება, გამქირავებელი კომპანიის მიმართ გაწეული მომსახურებისთვის, მანამ სანამ არ მოხდება აღნიშნული დავალიანების სრულად დაფარვა.

5.16. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ან ყველა ვალდებულების შესრულების შემდეგ, პერსონალური მონაცემები შეინახება კანონით გათვალისწინებული ვადით, რაც აუცილებელია სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად ან ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ეს ხელშეკრულება ძალაშია 2028 წლის 31 დეკემბრამდე.

7. საკონტაქტო ინფორმაცია

7.1. შემსრულებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

7.2 საქართველო თბილისი ანტონ კათალიკოსის 19.ტელეფონი +995 514 646 444 ელ ფოსტა info@getmancar.com. მესენჯერები telegram, viber, what'sApp.

7.3. ავტომობილების გაქირავების კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია:

7.3.1. მითითებულია სატრანსპორტო საშუალების მიღება-ჩაბარების აქტში.

7.3.2 თუ კლიენტს/მძღოლს, მომხმარებელს არ აქვს ავტომობილის მიღების აქტი (დაკარგულია, აღდგენას არ ექვემდებარება და ა.შ.), მას შეუძლია დაუკავშირდეს გამქირავებელ კომპანიის მომხმარებელთა მხარდაჭერის სამსახურს: info@getmancar.com-ზე, რათა მოითხოვოს ინფორმაცია ავტომობილის გაქირავების, ავტომობილის გაქირავების კომპანიის დასახელებისა და რეკვიზიტების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის მოთხოვნისას კლიენტმა უნდა წარადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

7.3.2.1. კლიენტის, მომხმარებლის სახელი და გვარი

7.3.2.2. კლიენტის/მძღოლის, მომხმარებლის ტელეფონის ნომერი

7.3.2.3. ავტომობილის ქირავნობის პერიოდი

7.3.2.4. ავტომობილის მიღებისა და დაბრუნების ადგილი

7.3.2.5. ავტომობილის მარკა და მოდელი, რეგისტრაციის ნომერი (თუ შესაძლებელია)

7.3.2.6. შემსრულებელს/კომპანიას უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია იმის დასადასტურებლად, რომ ინფორმაცია მოთხოვნილია შესაბამისი პირის მიერ.

2025 წლის 9 აგვისტო

შპს “რეის”

ლ. ბასილაშვილი